

ქართული საბჭოთავო
ფოსტა

საქართველოს სსრ-ის ფოსტის ავტომატური
ნომერი 187
თარიღი 6/14 9
პოსტ-სადგომი 1



ნახ. გ. ლომიძისა

ოგბუკი მნიშვნელობით

თბილისის საელმწიგლო დეპო მ გადაჭარბებით შეასრულა სადღეღამისო გადარბენისა და ტექნიკური სიჩქარის გეგმა.

- საკვირველია, ამით დღემდე ვერაფერ წაართვა გარდამავალი დროშა.
- საკვირველი კი არა, ბუნებრივია, დროშა რომ წაართვა, ჯერ უნდა დაეწიო.



წალკის ბავშვთა სანატორიუმის დირექტორს ახ. ვაშაკიძეს

გთხოვთ მიიღოთ ჩვენი მოკითხვა და კეთილი სურვილები. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ნიანგს განზრახვა არა აქვს თქვენს სააგარაკო განწყობილებას ჩრდილი მიაყენოს, რადგან კეჩხოვის ფიქვნარის ჩრდილსა და სურნელებს ეს სულაც არ მოუხდებოდა.

პირიქით, ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს, რომ მშვენიერი აგარაკი კარგ გუნებაზე აყენებს ადამიანს და მთის მზის ულტრაიისფერ სხივებთან ერთად, მოულოდნელი მოკითხვის მიღება ერთგვარად აძლიერებს სიამოვნებას. ამიტომ შეწუხებად ნუ მიიღებთ ამ ბარათს.

თუჩი ბიძა — ამერიკაზე „ქიან“

თურქეთმა ამერიკის სამხედრო დაზვერვის აგენტებს „ნოეს კილოზის ძებნის მიზნით“ არარატის აკრძალულ ზონაში გამგზავრების ნება დართო.

ნახ. ა. კანდელაკიხა



— ალანს ვეფიცებით, არ ვიცოდით თუ ნამდვილად სამხედრო დაზვერვის მიზნით ეძებდით „ნოეს კილოზანს“, თორემ არარატზე ასვლას როგორ დაგიშლიდით? მიბრძანდით და გვიმხახურეთ!

განა ნიანგმა არ იცის, რომ თქვენ ისედაც შეწუხებული ბრძანდებით დასასვენებლად ჩამოსული ბავშვების მიერ? ზოგ მათგანს ტანისამოსი აქვს შესანახი, ზოგს კურადლება სჭირდება, რომ წესიერად დაისვენოს, ზოგს გართობა უნდა და საერთოდ რამდენი ზრუნვა და ყურადღებაა საჭირო.

ყველაფერი ეს რომ დროს გაკარგვინებთ და ენერჯისაც გართმევთ, ჩვენ კარგად ვიცით. მშვენივრად ვიცით ისიც, რომ ენერჯიაც და თავისებური ზრუნვა-ყურადღებაც უხვად მოუმაღლებია თქვენთვის ბუნებას და არც ერთსა და არც მეორეს არ ზოგავთ მათთვის. სწორედ ესაა, რომ თქვენს პერმანენტულ დასვენებას ხელს უშლის და ჩვენ ესეც კარგად გვესმის.

მაგრამ არ გვესმის ერთი რამ და გვეკონია, რომ ეს არც თქვენ უნდა გესმოდეთ: რა საჭიროა, რომ ბავშვები მაინცადამაინც საკუთარი ტანისამოსით დაბრუნდნენ შინ თქვენი სანატორიუმიდან? ხომ ყველამ უნდა შეხედოს, თუ როგორ გაირუჯენ ისინი მზეზე, რა ზორბლისფერი მიიღეს და, საერთოდ, როგორ მოიკეთეს? ეს მით უმეტეს მაშინ არის საჭირო, როცა, ვთქვათ, ამა თუ იმ ბავშვის ტანისამოსი სხვამ წაიღო, ან დაიკარგა, ანდა უცებ ვერ მიაგენით.


რა თქმა უნდა, როგორც წესი — ეს ყოველთვის არ მოხდება, მაგრამ როცა მოხდება, მაშინაც ხომ ზრუნვა და მოხერხებაა საჭირო: ჰოდა თქვენ ასეთი ზრუნვა გამოიჩინეთ ასპინძელი ბავშვების ნაკადზე, რომელთაც თქვენი სიკეთე არ დაავიწყდებათ. თქვენი მზრუნველი წინდახედულება ჯერ იმაში გამოიხატა, რომ 14 ივლისის მაგიერ აღნიშნული ბავშვების მშობლებთან 10 ივლისს აფრინეთ „ელვა“ დეპეშა — სასწრაფოდ წაიყვანეთ თქვენი ბავშვი!

მართალია, ზოგ მშობელს მეხივით დაატყდა ეს თქვენი ელვა და თავქუდმოგლეჯილი გამოგეტყუდათ, თქვენ კი სასაცილოდ მოგეჩვენათ მათი გულის ფორიაქი, მაგრამ სასაცილო უფრო ის იყო, როცა ასპინძელი ბავშვების ტანისამოსი ველარ აღმოაჩინეთ. თქვენ სხვა ბავშვების ტანისამოსი შესთავაზეთ, მაგრამ ასპინძელები ისე გასუქებული აღმოჩნდნენ, რომ სხვის ტანსაცმელში ვერ ჩაეტყენ. მაშინ თქვენ პირდაპირ საბნებში გაუხვიეთ ბავშვები (გულნარა ქავთარაძე, ბიკიკო ქიკაიძე და სხვები) და ისე ჩააბარეთ ისინი პატრონებს.

აბა რა არის ეს თუ არა ზრუნვა? ხომ შეიძლებოდა, რომ ისინი პირდაპირ „დედიშობილა“ დაგეფრინათ სანატორიუმიდან, მაგრამ ეს არ ქენით. ყურადღებაა, მამ რა არის?

აი, ამ მხიარული ყურადღებისათვის გითვლით მოკითხვას და გისურვებთ პირადად თქვენ, წალკერიდან გამომგზავრების დროს. აგცილებოდეთ მათი სასაცილო ხვედრი.

ნიანგი



წკიპურტები

1. ჩეჩილიზებული ეტლი

ინგლისში, ახალი არჩევნების მოახლოების გამო, კონსერვატორებმა გააძლიერეს ოპოზიცია ლეიბორისტების წინააღმდეგ. ეტლი ყოველნაირად ცდილობს გაატაროს ჩეჩილის პოლიტიკა, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც აპირებს მთავრობის სათავეში ჩადგომას, რათა მიაღწიოს ინგლისის ფაშიზაციას.

ის ომის შემდეგ მეეტლედ იქცა,
(ბებერმა მელამ ასე იწება);
დაჯდა კოფოზე და გადასწვებდა
ქვეყნის უკულმა გახეირნება!
ეტლიც ეტლს ეთქმის!—ეს ის ეტლია,
ფართო მასშტაბის ტვირთის მწიდავი,
რომ მთლად ინგლისი შიგ ჩაეტია,
ვით საქონელი გასაყიდავი!
შფოთის და ომის გაწვრთნილ მეთაურს
არ გაუწილდეს ეს ცდა ეგება;

ზის და მის გაწვრთნილ ჯაგლაგ ბედაურს
ფაშიზტურ შოლტით მიერეკება!
მიერეკება და განუწყვეტლივ
მოლიპულ დაღმართს ჩლიქით ეხება,
უმუხრუჭებოდ მიგორავს ეტლი
და, შა, ხაცაა გადიჩებება.
მაგრამ როდი სურს ყური ათხოვოს
მეეტლე ჩეჩილს—ინგლისის ხმახა:
ოღონდ კი ფაშიზმს დაუახლოვოს
და თვით უფსკრულშიც გადიხვის მასა!

2. ძურღს ძული მწვიხ

ამერიკის საზოგადოებრიობა აღშფოთებულია რეაქციონერების მიერ გავრცელებული ცილისწამების გამო, თითქოს გაერთიანებული ერების სამდივნო ეწეოდა შპიონაჟს.

ამ უტიფარი ჭორებით ამერიკელი ომის გამჩალებლები საკუთარ თავს ამხეღენ.

ეს ძველის-ძველი ხერხია,
უზნეთაგან ნაცადი:
მეძაფე—უბიწოს სწამებს,
რაც თვით გულში აქვს ნაწადი,
რომ თავის საქმე საძრახი
მიჩქმალოს, გამოაპაროს
და ურცხვი ნამოქმედარი
ჩუმად ჩრდილს ამოაფაროს,
თვის ბრალს სხვას ახვევს და უვირის:
— „არიქა, სინდისს ყიდისო,
ჩემებრ წმინდა კი არ არის,

დასაძრახი გზით მიდისო!“
რა ვუყოთ, უოლ-სტრეტიდან
როს გვეხმის ასე განგაში,
ქვეშარტიკება მაინც ჩანს
ისე, ვით შუბი ხალთაში;
გამგონი იტყვის ღიმილით:
მუდამ გამტეხი პირისო—
თვის „წმინდა უბიწობაზე“
ძველი მეძაფე უვირისო!

3. ბანქოს ჩამოშობი

ჩრდილო-ატლანტიკის პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღების ახალი პროგრამის საწინააღმდეგე მოძრაობის გამო, აჩესონი ვრცელი სიტყვით გამოვიდა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ამერიკის მთავრობის აგრესიული პოლიტიკა არის „თავდაცვის მშვიდობიანი პროგრამა“. ამ გზით სურთ გამოსტყუონ ხალხს ახალი სახსრები აგრესიული ქვეყნების შესაიარაღებლად.


ბანქოს თამაშში. ქურდსა და შულერს
ჩვეულება აქვს, ძარცვას აპირებს:
ისინი სცვლიან კარტებს და, ფულებს
სცანცლავენ მიმნდობ მოპირდაპირეს!
უოლ-სტრეტიელთა ეს ჩვეულება
მისაღებია მხედველობაში,
მაგრამ ამ შულერს ვინ შეედრება

ბანქოს ჩაწყობის ბნელ ხელობაში?
ომის ბიზნესით თამაშობს ახლოც
და ურევს კარტებს—(აი „ამაგის“),
თანამდებობით შულერი გახლავთ
და შულერისას იღებს ჯამაგირს!

ფარსადანერ



64 49



მხარზე თოფგადადებული მივაბიჯებ რუს-თაველის პროსპექტზე. მე და ძველი, ხანში შესული მონადირე ლევან ბარბაქაძე დანიშნულ ადგილზე უნდა შევხვდეთ.

მეგზოვები ქუჩებს ასუფთავებენ. ახალი გათენებულია. ბებერი, ვეება ქუთოი ცოცხს იქნევს და თან ღიღინებს. ცოცხს ისე იქნევს, თითქოს ხელთ ხმალი ეჭიროს. ხანდახან გაქვავდება; ალბათ იგონებს იმ დროს, როცა ხმლით ხელში თავს ესხმოდა ირანელებს. გვერდით რომ ჩავუარე, ბრიალა თვალეში შემომანათა. მიკვირს: მთებში ლალად გაზრდილი როგორ სძლებს ქალაქში!

ძაღვები დაძუნძულდნენ ქუჩაში. თეთრი, დიდი ძაღვი ამაყად ზის ქვაფენილზე და თვალს არ მაშორებს. ძაღვებს აღიზიანებთ ჯოხის დანახვა. ვფიქრობ: ამ ოხერმა ჯოხად არ მიიჩნიოს ჩემი „ზაუერი“ და არ მეცეს. ვუახლოვდები. ადგილიდან არ იძვრის, მხოლოდ მიყურებს, თავს ნელა ამოძრავებს. ქარი არხვეს ხეებს. ჩრდილები დარბიან ქვაფენილზე და მეც ფეხი მერევა.

ჩემს წინ ქალი და მონადირე მიდიან. ჩუმად საუბრობენ. ყური მოვკარი: — ქეთინო, ჩემი ხნის კაცს არ შეიყვარებ? — რა სისულელეა! — იცინის ქალი. მონადირე ხან იკაკვება, ხანაც სწორდება წელში, ჩქარ-ჩქარა ამოძრავებს მხარს, ზედ თოფი რომ ჰკიდია. ცნობისმოყვარეობა მიპყრობს. — ჩვენი ქარხანა გეგმას წარმატებით ასრულებს. მე უკვე სტახანოველი ვარ, სამ

სტახანი



დაზვას ვემსახურები. სიხარულისგან არ მეძინება. ყოჩად ქალოო, — მითხრა დირექტორმა.

— მართალი ვითხრა, რომ... სტახანოველი ხარ, მიხარია, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ ეს ხომ არ კმარა, ქეთინო, სხვა რამეზედაც უნდა იფიქრო. ოჯახი უნდა შექმნა, ქალო, ასე მარტო ხომ არ იქნები?

ქალი აღფრთოვანებით განაგრძობს: — ახლა მე ისა მაქვს ფიქრად, რომ როგორმე მეოთხე დაზვასაც მოვემსახურო. მაშინ უფრო ბედნიერი ვიქნები.

„ეს ხომ ქეთია!“ — ვფიქრობ. ხშირ ვიცანი ჩემი მეზობელი, ახალგაზრდა ცქრიალა გოგონა, ქარხნის მოწინავე ხარატი. მაგრამ კაცი ვინ არის? ხმა ნაცნობია... ლევანს ჰვავს, მაგრამ ლევანი ხომ წელში მოხრილია...

— ოჯახის შექმნაზე რატომ არ ფიქრობ, ქეთინო?

— მოვესწრები, ძია! — ძალიან გთხოვ, „ძიას“ ნუ მიწოდებ. აგერ ჩემს მეზობელს ოთხმოცი წელი შეუსრულდა და თერამეტი წლის ქალი მოაცუნცულა ცოლად. არა ვარ ისე ხანში შესული, შენ რომ გგონია. შენზე ახალგაზრდა გოგოს კიდევ ვაგებდნენ. ღონე მაქვს, თვალეში სინათლე არ დამკარგვია, ორ ახალგაზრდა ბიჭს კიდევ მოვერევი. — უსაყვედურა მონადირემ.

— მაპატიეთ! — კუჭკუჭებს ქეთო. ისე გულიანად იცინის ქეთო, მინდა მოვიქნე, დე, თავზე ხელი გადავუსვა და მიჩვენიერდეთხანს დუმილია.

— ქეთინო! — ემუდარება მონადირე, — შენი გულისთვის ყოველთვის შუალამეს ვდგები, რომ ქარხნამდე მივაცილო. უკვე ორი წელია ჩემო ქეთინო, ნუთუ არ გეცოდები? ქეთო სდუმს. მერე ეუბნება:

— რატომ იკლებთ ძილს? უთქვენოდაც მივალ ქარხნამდე, ძალიან არ მესიამოვნება, ჩემი გულისთვის ძილს რომ იკლებთ.

— არც ისე ბავშვი ხარ, რომ ვერ მიხვდეთ რაშია არის საქმე. უნდა მიხვდეთ ბოლოს და ბოლოს, რომ ჩემისთანა საპატიო კაცს, განთქმულ მონადირეს უყვარხარ და უშენოდ ცხოვრება არ შეუძლია.

— ვიფიქრებ. — უპასუხა ქეთომ და ტრამვაის შეახტა.

მონადირე უცებ წელში მოიხარა.

„ლევანია!“ — გადავწყვიტე გაცეზულმა და დავუძახე:

— ლევან! ჩემსკენ მოიხედა, მერე სირბილით გასწია, თითქოს საშინელი რამ დაენახოს და სადღაც გაქრა.

დიდხანს ვიტრიალე რედაქციის შენობასთან, მაგრამ ლევანი არ მოვიდა. ჩემი შერცხვა? ალბათ.

ანდრო ლომიძე

პითომ სკუის?

ნახ. ე. მაყაშვილისა



წაღების გამაძვირებელი: როგორ, წყლის ფული მეც და იმასაც ერთნაირად უნდა გადავკასდევინოთ?

გველი ზეკაში

(იგავ-არაკი)

ერთხელ მგელმა გადასწყვიტა მოეშალა მტრობა, შური: მივიდა და ფერმის გამგეს შესთავაზა სამსახური. ასე უთხრა: — თუ მიმიღებ და მენდობი, როგორც მგელსა, მინდა გულით გემსახურო, ცხვრის ჭამაზე ვიღებ ხელსა. გაძლევ სიტყვას: დავიცავ და ხელს არ ვახლებ მე შენს ფარებს, საკმელზეც არ შეგაწუხებ, შენს ნასუფრალ ძვლებს ვიკმარებ. ეს რომ გამგემ მოისმინა, კეტს დაავლო მყისვე ხელი. მგელს უყვირა: — რაებს ბოდავ? თუ გგონივარ კუჭათხელი? ფერმაში რომ გამსახურო, შე გიეო და ყიამყრალო, მერე ცხვრების დანაკლისი ვილას უნდა დაუბრალო?

ზოგ ფერმაში ასე ხდება თვითონ ცხვრების გასაკვირად: მათ ორფეხა მგლები სჭამენ ნამდვილ მგლებზე უფრო ხშირად...

ვ. შალამბერიძე



რალაც ეშმაკად ფასანაურს მიმავლინეს. ავტოსადგურის კარებთან დიდხანს ვიყურეუტე ბილეთის რიგში და გაოფლიანებული მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როცა მოლარემ ცივი წყალი გადამასხა:

- ბილეთები მხოლოდ ძაუჯიყაუმდე გვაქვს!
- მანქანამ ხომ ფასანაურზე უნდა გაიაროს და რატომ იქამდე არ ყიდით ბილეთებს?
- იმის შემდეგ ადგილი გავაცდინოთ? ჩვენს მაგიერ თქვენ შეასრულებთ ფინგეგმას?
- პასუხი საქმაოდ მაგარი იყო. მე კი შევძლებდი ავტოსადგურის ფინგეგმის შესრულებას, მაგრამ მე, მივლინებაში მიმავალს, რომელი ბუხპალტერი გამინაღლებდა მათი ფინგეგმით გადახარჯულ ზედმეტ თუმენებს?
- მდგომარეობიდან ვილაც მოქალაქემ გამომიყვანა, რომელმაც მირჩია საბურთალოსზე წავსულიყავი, „ხალტურაზე“ მოსიარულე მანქანების იმედით.
- მცხეთის გზის დასაწყისთან ვეგებრთელა საბარგო მანქანა იდგა, ზედ ჩამომჯდარი თხუთმეტობილი კაცი საცოდავად ყვინთავდა და შოფერი კი მგზავრების ძებნაში მიწას გაბედულად ტკეპნიდა.
- სად მიხვალ? — პირდაპირ მეკვეთა იგი.
- ფასანაურში.
- დაჯე!
- რას გამომართმევ?
- ხამი ხარ?.. სამი თუმანია, რას მევაქრები, არტელის მანქანაა, „ჩასნი“ ხომ არ არი!
- მანქანაზე მოვიკალათე. გვერდით მჯდომ მგზავრს გამოვლევინა და ცალი თვალის ვახელისთანავე მკითხა:
- რომელი საათია?
- ორი.
- ფუი, რვა საათიდან აქ ვიცდით.
- ბენზინი აკლია?
- არა, მგზავრები. ვიდრე მანქანა არ შეივსება, ვერ წავალთ.

ერთ საათს კიდევ ვიცადეთ. თხუთმეტობილი მგზავრი კიდევ შეგვემატა. შოფერმა თვითულ ჩვენგანს სამი თუმანი ჯადაახდევინა, სადღაც წავიდა, ბილეთები გამოაწერიხა, თვითონვე ჩაიწყო ჯიბეში და გზას გავუღვიქით.

მცხეთამდე ხალისიანად ვიარეთ. მცხეთის შემოღვიგებულ პუნქტთან ვილაცა ორმაგი მოყვანილობის ყმაწვილმა წითელი ბაირალი აგვიშვირა, ვაგვაჩერა, მგზავრები ცხვრებივით გადაგვთვალა და შოფერს შეუტია:

- წამო ჩემთან, ერთი კაცი მეტია... კიდევ ვერ ისწავლე ქუა?
- რა გინდა, ძმაო, გუშინ ხომ მოგეცი ორასი მანეთი! — ჩუმად მიუგო შოფერმა.
- წამო, იქ მოგელაპარაკები. — გაუმეორა ორმაგი მოყვანილობის ყმაწვილმა და „იქ“ წაიყვანა.
- ვიცადეთ ხუთ წუთს, ათს, თხუთმეტს. ჩვენი მძღოლი ხუხულაში იყო „ჩაკეტილი“. ორმაგი მოყვანილობის ყმაწვილს კი არ ეცალა, ყოველ გამვლელ მოხალტურე მანქანას ავტომინდს ახდევინებდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა — ხალტურა არ გამეპაროსო.
- ლოდინისა და ხერვების პროპორცია რომ დაირღვა, ორმაგი მოყვანილობის ყმაწვილს ვეახელი:
- როდის გამოუშვებთ ჩვენს შოფერს?
- ახლავე, ვაგვორავ და გამოვუშვებ. მანამდე ეს ბილეთები წაიღე და მგზავრებს დაურიგე.
- ბილეთებს დავეხდე, ზედ გარკვევით ეწერა: „თბილისი-ბულაჩაური. ფასი 12 მან. 25 კაპ.“ მივხვდი რატომ მომიშორა თავიდან ამ ყმაწვილმა. სამ თუმანსა და თორმეტ მანეთს შორის ხომ დიდი განსხვავებაა?
- საოცარია: თბილისის ავტოსადგური ბილეთებს არ ჰყიდის ფასანაურამდე, რადგან ფინგეგმის შესრულება უჭირს, ვილაც თალღითები კი დღის სინათლეზე გადაქარბებით ასრულებენ საკუთარი ჯიბის გეგმას!

8. ივანიშვილი

სოფ. ბებნისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა ლ. შოშიაშვილი, ყურადღება არ ექცევა დანაკარგებთან ბრძოლას. მომიკლ ნაკვეთში პირუტყვი ისე შეუშვეს, რომ თავთავები არ იყო აკრეფილი.

ნახ. გ. ლომიძე



შოშია — არა გრცხვენია შოშიაშვილი? პირუტყვს შეაქამე იმდენი ქერი და ჩვენ არ დაგვიძახე! შეგირცხვა ბიძაშვილობა!

გარათაჟი „ნიანგს“



ძია ნიანგო!

ზაფხულის ცხელმა დღეებმა მოატანა თუ არა, პიონერთა ბანაკში წასვლა გადავწყვიტე. მაშინ საგზური მიშოვა დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფ. კავშ. ცემის პიონერთა ბანაკში. მაგრამ წასვლის დროს შემადიქრა საგზურზე დაწერილმა შემდეგმა პირობებმა: „ბანაკში ჩამოსულმა პიონერმა თან უნდა იქონიოს: საბანი, 2 ხეწარი, ბალიში 2 ბალიშისპირით, 2 წყვილი საცვალი, 2 პირსახოცი, 2 ტრუსიკი, პალტო, ქუდი, 2 წყვილი ჩულქი, ან წინდა, ფეხსაცმელი, სამი ცხვირსახოცი, სავარცხელი, 2 თეფში (მათ შორის ერთი ღრმა თეფში), ფინჯანი, ჩანგალი, სუფრისა და ჩაის კოვზი (ბოდიშს ვიხდი, რომ კითხვით დაგლაღეთ, ძია ნიანგო!), ჩაის ჭიქა ლამბაქით, ხელის საპონი, კბილის ჩოთქი, კბილის ფხვნილი, რვეული, ფანქარი და ექიმის დასკვნა ჯანმრთელობის შესახებ.“

ძია ნიანგო, ჯანმრთელი ვარ და თუ წაღებთა წაღება იყოს: მინდა თქვენგან გავიგო: თუ შეიძლება თან წავიღო: ორი ქვები საკმეფისათვის, 1 ჰამაკი — ჩასაწოლად, ბუცები და 3 ბურთი — ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის სათამაშოდ, 1 მაგიდა, 2 სკამი, 1 საწოლი და პიანინო (გინაიდან მუსიკას ვსწავლობ) და თუ კიდევ შეიძლება რამის წაღება, გთხოვთ ძია ნიანგო, მაცნობოთ, რახედაც დიდი მადლობელი ვიქნები.

მოსწავლე ზურაბ ზურაბაული

ამხანაგო ნიანგო!


ჩემმა ცოლმა აიჩემა: კაკლის მურაბა უნდა მოვხარშო.

- ქალო, სადა ვაქვს მასალა? კაკალს ათასგვარი გამოყვანა უნდა მეთქი.
- ყველაფერი მაქვსო. აი, დღეს შაბი ვიყიდე და საღამოზე კაკლის მურაბით გავიმასპინდლებითო! იქვე ჩემი პატარა გოგონა ხელში შაბის კოლოფს ათამაშებდა, ატრიალა, ატრიალა კოლოფი და მეკითხება:
- მაშიკო, რა არის „სად. აგჩალა“?
- სად წაიკითხე, გენაცვალე?
- აი, ამ კოლოფს აწერია.

გოგონას გამოვართვი კოლოფი და ვკითხულობ: „შაბი კვებაქიმრკვაჭვირი შრომა“

სად. ა გ ჩ ა ლ ა“.

ამხანაგო ნიანგო, იქნებ თქვენ მაინც ასწავლოთ აღნიშნულ არტელის გამგეობას ქართულად რა ჰქვიან „აგჩალას“!



გ. ჩაივარდიშვილი

სარედაქციო კოლმეზია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 8-10-49

ხელმოწ. დასამ. 1949 წ. 11/VIII. ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერეას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შეკ. №, 1024 ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შეკ. № 1650. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 82. ტირ. 11000. უე 05239.

წიგნის კვირული სოფლად

ნახ. ი. ქოქიაშვილისა



— რამდენისაა, ვიგა, ეს წიგნები?
 — რა ვიცი, თუ იმის მიხედვით ვიანგარიშებთ, რაც მაგ წიგნებში ცოდნაა, ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავალ-გასავალიც არ ეყოფა!